

რაციფირებულია საქართველოს პარლამენტის
18/12/2001 წლის N 1194 დადგენილებით

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის საერთაშორისო სამგზავრო და სატვირთო საავტომობილო გადაზიდვების შესახებ

საქართველოს მთავრობა (საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება) და შვეიცარიის ფედერალური საბჭო, შემდგომში ხელშემკვრელ მხარეებად წოდებული, სურთ რა ხელი შეუწყონ ტვირთებისა და მგზავრების საავტომობილო გადაზიდვებს თავიანთ ორ ქვეყანას შორის, და ასევე ტრანზიტს მათი ქვეყნების ტერიტორიების გავლით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 სფერო

წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები მოიცავს მგზავრებისა და ტვირთების გადაზიდვებს, რომლის დროსაც გადაზიდვის მარშრუტის საწყისი ან დანიშნულების პუნქტი განლაგებულია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც რეგისტრირებულია მეორე ხელშემკვრელ მხარის ტერიტორიაზე.

მუხლი 2 განსაზღვრებები

1. ტერმინი “გადამზიდავი” ნიშნავს საქართველოსა ან შვეიცარიაში მცხოვრებ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც შესაბამისი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობით უფლებამოსილია განახორციელოს მგზავრობის ან ტვირთების საავტომობილო გადაზიდვები.

2. ტერმინი “სატრანსპორტო საშუალება” ნიშნავს საგზაო სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც მექანიკურად გადაადგილდება, და შესაბამის შემთხვევებში, მის მისაბმელს ან ნახევრად-მისაბმელს, რომელიც დანიშნულია

- ა) ცხრაზე მეტი მგზავრის გადასაყვანად, მძლოლის ჩათვლით ან
- ბ) ტვირთის გადასაზიდად.

3. ტერმინი “ნებართვა” ნიშნავს ნებისმიერ ლიცენზიას, კონცესიას ან ნებართვას, რომელიც მოეთხოვება თითოეული ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობით.

4. ტერმინი “კაბოტაჟი” ნიშნავს ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე სატრანსპორტო ტერიტორიების წარმოებას, ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტების ამ ტერიტორიაზე განლაგებით, გადამზიდავის მიერ, რომელიც დაფუძნებულია მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე.

5. ტერმინი “ტრანზიტი” ნიშნავს ტვირთების გადაზიდვას (ჩატვირთვისა და გადმოტვირთვის გარეშე) და მგზავრების გადაყვანას (ჩასხდომისა ან გადმოსხდომის გარეშე) ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე დაფუძნებული გადამზიდავის მიერ მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის გავლით მესამე ქვეყნისაკენ ან მესამე ქვეყნიდან.

6. ტერმინი “მაქოსებური მომსახურება” ნიშნავს ისეთ მომსახურებას, რომლის დროსაც განმეორებადი ორივე მიმართულების რეისების საშუალებით წინასწარ შედგენილი მგზავრთა ჯგუფები გადაადგილდება გამგზავრების ადგილიდან დანიშნულების ადგილისაკენ. მგზავრთა

თთოვეული ჯგუფი, რომელმაც შეასრულა დანიშნულების პუნქტისაკენ მიმართული რეისი, უნდა დაბრუნდეს უკან გამგზავრების პუნქტში მომდევნო რეისით.

მუხლი 3 სამგზავრო გადატიდვები

1. ნებართვისაგან განთავისუფლებულია შემდეგი სახის არარეგულარული სამგზავრო გადატიდვები:

ა) ერთი და იგივე პირების გადაყვანა ერთი და იგივე სატრანსპორტო საშუალებით მთელი მგზავრების განმავლობაში, რომლის დროსაც საწყისი და დანიშნულების პუნქტები მდებარეობს ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელზეც რეგისტრირებულია სატრანსპორტო საშუალება, და როდესაც მოცემული ქვეყნის ტერიტორიის გარეთ მგზავრობის განმავლობაში ან გაჩერებისას არ ხდება სატრანსპორტო საშუალებაზე მგზავრების აყვანა ან ჩამოსმა (მგზავრობა დახურული კარით), ან

ბ) ადამიანთა ჯგუფის გადაყვანა იმ ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე პუნქტიდან, რომელზეც რეგისტრირებულია სატრანსპორტო საშუალება, მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე პუნქტამდე, იმ პირობით, რომ სატრანსპორტო საშუალება დატოვებს ამ უკანასკნელი მხარის ტერიტორიას მგზავრების გარეშე, ან

გ) ადამიანთა ჯგუფის გადაყვანა მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მდებარე პუნქტიდან იმ ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე პუნქტამდე, რომელზეც რეგისტრირებულია სატრანსპორტო საშუალება. იმ პირობით, რომ ამ მომსახურებას წინ უძღვის დანიშნულების ადგილისაკენ მიმართული რეისი მგზავრების გარეშე გარდენით, და რომ მგზავრების

- ჯგუფი შედგენილია სატრანსპორტო-კონტრაქტის საფუძველზე მის ჩასვლამდე იმ ქვეყნებში, სადაც ხდება ჩასხდომა სატრანსპორტო საშუალებაში, ან

- ჯგუფი წინასწარ ჩამოყვანილი იქნა იმავე გადამზიდავის მიერ, პირობებით, რომლებიც მოხსენიებულია ამ მუხლის ბ) ქვემუხლში, იმ ქვეყანაში – სადაც ხდება მათი ხელახალი ჩასხდომა სატრანსპორტო საშუალებაში და გადაყვანა ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ან

- მიწვეული იქნენ სამოგზაუროდ მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და სამგზავრო ხარჯებს ფარავს მასპინძელი მხარე. მგზავრები უნდა შეადგენდნენ ერთგვაროვან ჯგუფს, რომელიც ჩამოყალიბებულია არა მხოლოდ მგზავრობის მიზნით.

დ) სატრანსპორტო რეისები მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით.

2. სამგზავრო გადატიდვები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს, თავისუფლდებიან განებართვიანების მოთხოვნისაგან:

-მაქსებური მომსახურება დაბინავების თანხლებით, მიმართული მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიისაკენ ან მასზე ტრანზიტით; და

- იმ სატრანსპორტო საშუალებების დაუტვირთავი გარდენები, რომლებიც გამოყენებულია მაქსებური მომსახურებისათვის.

3. ამ მუხლის პარაგრაფ 1-ით და პარაგრაფ 2-ით განსაზღვრული მომსახურებები ხორციელდება საკონტროლო საბუთების თანხლებით.

4. მომსახურებები, რომლებიც არაა განსაზღვრული ამ მუხლის პარაგრაფი 1-ით და პარაგრაფი 2-ით, ექვემდებარება სავალდებულო განებრთვიანებას ხელშემკვრელი მხარეების სახელმწიფო კანონმდებლობების და წესების შესაბამისად. ნებართვების გაცემა ხდება ნაცვალების საფუძველზე.

მუხლი 4 სატვირთო გადატიდვები

1. ხელშემკვრელი მხარის გადამზიდავი, რომელიც ექვემდებარება განებართვიანებას, უფლებამოსილია ღროვანით აწარმოოს დატვირთული ან დაუტვირთავი სატრანსპორტო საშუალების იმპორტი მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე სატრანსპორტო ოპერაციის განხორციელების მიზნით:

ა) ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ ნებისმიერ პუნქტსა და მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებულ ნებისმიერ პუნქტს შორის, ან

ბ) როცა სატრანსპორტო ოპერაცია იწყება მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მიმართულია მესამე ქვეყნისაკენ ან როცა მიმართულია მესამე ქვეყნის ტერიტორიიდან მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით.

გ) ხორციელდება ტრანზიტი მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიის გავლით.

2. გამონაკლისები განებართვიანების რეჟიმიდან განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების თანდართული ოქმით, რომელიც მიღებულია ქვემოთ მე-9 მუხლის თანახმად.

მუხლი 5 სახელმწიფო კანონმდებლობის გამოყენება

ყველა იმ შემთხვევაში, რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, ხელშემკვრელი მხარის გადამზიდავები და მძღოლები, რომლებიც მოძრაობენ მეორე ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვალდებული არიან დაიცვან ამ სახელმწიფოს საკანონმდებლო დებულებები და წესები, რომლებიც ამ უკანასკნელის მიერ გამოყენებული იქნება მათ მიმართ არადისკრიმინაციული სახით.

მუხლი 6 კაბოტაჟის აკრძალვა

კაბოტაჟი აკრძალულია მე-10 მუხლით განსაზღვრულ ერთობლივ კომიტეტს შეუძლია შემოიღოს გამონაკლისები ამ წესიდან.

მუხლი 7 დარღვევები

1. ხელშემკვრელი მხარეების კომპეტენტურმა ორგანოებმა ზედამხედველობა უნდა გაუწიონ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების დაცვას გადამზიდავების მიერ.

2. ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლებამ, სადაც რეგისტრირებულია სატრანსპორტო საშუალება, იმ შემთხვევაში, როცა ამ სატრანსპორტო საშუალებების მძღოლები ან გადამზიდავები მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ყოფნისას არღვევენ წინამდებარე ხელშეკრულების წესებს და ბემოხსენებულ ტერიტორიაზე მოქმედ საგზაო მოძრაობისა და გადატიდვების წესებსა და კანონმდებლობას, ამ უკანასკნელი ხელშემკვრელ მხარის კომპეტენტური ორგანოების მხრიდან მოთხოვნისას უნდა მიიღოს შემდეგი ბომები:

ა) გაფრთხილება

ბ) ღროვანით, ნაწილობრივ ან სრულებით შეწყვიტოს ნებართვის მოქმედება გადატიდვების განხორციელებაზე იმ ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ჩადენილი იქნა დარღვევა.

3. კომპეტენტურმა ორგანომ უნდა აცნობოს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოს მიღებული ბომების შესახებ.

4. თითოეული ხელშემკვრელი მხარე უნდა დაემორჩილოს სასჯელს, რომელიც შეიძლება დადებული იქნეს მეორე ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტური ორგანოებისა ან სასამართლოს

მიერ მის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის სახელმწიფო კანონმდებლობისა ან წესების შესაბამისად.

მუხლი 8 კომპეტენტური ორგანოები

ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოების შესახებ. ეს ორგანოები უშუალოდ ამყარებენ ურთიერთობას ერთმანეთთან.

მუხლი 9 განხორციელება და გამოყენება

ოქმი წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელების გზებისა და საშუალებების შესახებ იდება ამ ხელშეკრულებასთან ერთდროულად და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10 ერთობლივი კომიტეტი

1. ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა შექმნან ერთობლივი კომიტეტი, რომელიც მოაწესრიგებს წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ კველა საკითხს.

2. ერთობლივი კომიტეტი უფლებამოსილია შეცვალოს ან შეავსოს ოქმი, რომელიც მოხსენიებულია მუხლ 9-ში.

3. ერთობლივი კომიტეტი იკრიბება ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნით. შეხვედრა ტარდება თითოეული ხელშემკვრელი მხარის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მონაცემებით.

მუხლი 11 დებულებათა გავრცელება ლიხტენშტეინის სამეფოზე

ლიხტენშტეინის სამეფოს ოფიციალური თხოვნის თანახმად, წინამდებარე შეთანხმება სამეფოზე იმ ვადით ვრცელდება, როგორითაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია შვეიცარიის კონფედერაციასთან საბაჟო კავშირის ხელშეკრულებით.

მუხლი 12 ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც გაიცვლება დიპლომატიური ნოტები კველა შესაბამისი სახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულების შესახებ. ხელშეკრულება ძალაში შევა უკანასკნელი შეცყობინების მიღების დღიდან.

2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია განუსაზღვრელი პერიოდით. იგი შეიძლება დენონსირებულ იქნეს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის მიერ კალენდარული წლის ბოლოსათვის, არა ნაკლებ ექვსი თვით ადრე გაუქმდების შესახებ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

რის დასტურადაც, თავიანთი მთავრობების მიერ შესაბამისად უფლებამოსილმა ქვემოთ ხელისმომწერებმა მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას.

შესრულებულია

ორ პირად ქართულ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია.

საქართველოს
მთავრობის სახელით

შვეიცარიის ფედერალური
საბჭოს სახელით